

ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის საჭიდაო კორპუსის II სართულზე  
განთავსებული დარბაზის იატაკის და ვიტრაჟებისათვის საჩიხების  
სარემონტო სამუშაოების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული  
ტენდერის

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

**CPV კოდი- 45400000**

სატენდერო დოკუმენტაცია

ქალაქი ბათუმი  
2014 წელი

## სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია	3
2. ანგარიშსწორების პირობები	3
3. ტექნიკური მოთხოვნები	3
4. მიწოდების ვადები და პირობები	3
5. დამატებითი ინფორმაცია	3
6. დანართი N1 რეკვიზიტები	4
7. დანართი N2 ფასების ცხრილი	5
8. დანართი N3 საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციის ფორმა	7
9. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი	8

## 1. ტექნიკური დოკუმენტაცია

- 1.1. ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის საჭიდაო კორპუსის II სართულზე განთავსებული დარბაზის იატაკის და ვიტრაჟებისათვის საჩეხების სარემონტო სამუშაოების შესყიდვა.
- 1.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, აღწერილობა და ჩამონათვალი, იხილეთ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, დანართი №2-ში.
- 1.3. შესყიდვის შესრულების ადგილი – ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N14.

## 2. სამუშაოების შესრულების ვადები

- 2.1. სამუშაოების შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **12** (თორმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

## 3. სატენდერო წინადადების ფასი.

- 3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით.
- 3.2. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.
- 3.3. გამომდინარე იქიდან, რომ სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არ იქნება დღგ-ს გადამხდელი, ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხა შემცირდება დღგ-ს თანხის ოდენობით.

## 4. ანგარიშსწორების პირობები

- 4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;
- 4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში;
- 4.3. ეტაპობრივი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;**
- 4.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## 5. დამატებითი ინფორმაცია

- 5.1. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მომართვის შემთხვევაში მისამართზე ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N14. საკონტაქტო პირი აზა ქამადაძე, ტელ: 27-21-54, ელ. ფოსტა [sport\\_skola@yahoo.com](mailto:sport_skola@yahoo.com)

## 6. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

- 6.1. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემდეგი თანმიმდევრობით:
  - პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად;
  - სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი N2-ის შესაბამისად;
  - ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ - დანართი N3-ის შესაბამისად;
  - ტექნიკური დოკუმენტაცია (ანგარიშსწორების პირობები, მიწოდების ვადები და პირობები).
- 6.2 ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის

ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული

მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის  
ხელმოწერა

\_\_\_\_\_ ბ.ა.

თარიღი -----

პრეტენდენტის დასახელება -----

**ქ. ბათუმში, სასპორტო სკოლის საჭიდაო კორპუსის II სართულზე განთავსებული დარბაზის იატაკის და ვიტრაჟებისათვის საჩიხების სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა**

№	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული	განზ. ერთეულზე	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	2	3	3	4
1	ვიტრაჟებისათვის გალვანიზირებული ფერადი თუნუქის ქულების მოწყობა	გრძ.მ	16		
2	ძირ სართულის საჭიდაო დარბაზის და მწვრთნელის ოთახის იატაკიდან ამორ-ტიზირებული პარკეტის ფენილის აყრა, ჩამოტანა და დასაწყობება (შემსყიდველის განკარგულებაში)	კვ.მ	327		
3	იატაკის ბეტონის საფუძვლის გაწმენდა და მოსწორება წებო-ცემენტის ხსნარით	კვ.მ	327		
4	დარბაზის იატაკისათვის ნესტგამძლე, მაღალი ცვეთამდედგობის 12,3 მმ სისქის ლამინირებული პარკეტის ფენილის მოწყობა ღრუბელის საფუძველზე	კვ.მ	327		
5	ლამინირებული პლინტუსის მოწყობა სიმაღლით 6,0 სმ	გრძ.მ	96		
	<b>ჯამი</b>	ლარი			
	ზედნაღები ხარჯები 10%	ლარი			
	<b>ჯ ა მ ი:</b>	ლარი			
	სახარჯთაღრიცხვო მოგება	ლარი			
	<b>ჯ ა მ ი:</b>	ლარი			
	ღ ღ გ – 18%	ლარი			
	<b>სულ ხარჯთაღრიცხვით:</b>	ლარი			

**საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციის ფორმა**

ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში მიმწოდებელი ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის საჭიდაო კორპუსის II სართულზე განთავსებული დარბაზის იატაკის და ვიტრაჟებისათვის საჩივრების სარემონტო სამუშაოების ხარისხზე იძლევა გარანტიას:

----- წელი.

(გარანტიის მინიმალური ვადა არ უნდა იყოს 2 წელზე ნაკლები).

შენიშვნა: საგარანტიო ვადის ათვლა იწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

ხელმოწერა -----

ბ.ა.

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

### ხელშეკრულება N

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. ბათუმი –

-----2014 წელი

ერთის მხრივ „ა(ა)იპ–ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მუხრან ვახტანგაძის სახით და მეორეს მხრივ „-----“ (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (დასახელება) მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA....) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“ – N SPA----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო ტანვარჯიშის მცირე, ტანვარჯიშის დიდი დარბაზისა და საკონფერენციო ოთახის სარემონტო სამუშაოების შესრულება სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად **CPV: 45400000**.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა

4.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში;

4.4. ანგარიშსწორებისას დღგ-ს არ გადაამხდელზე გადასახდელი თანხა შემცირდება დღგ-ს თანხის ოდენობით

4.5. **ეტაპობრივი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;**

4.6. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N14.

5.3. საქონელი მოწოდებული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

5.4. მოწოდებულ პროდუქციაზე მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.



## **6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

– მიმწოდებელისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

## **7. ხელშეკრულების კონტროლის პირობები**

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. სხვა პირობები

12.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე,სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.6. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: